ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
შპს "ორ ნაბიჯსა" და
თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ქ. თბილისი „4" მაისი 2018 წ.

ერთი მხრივ, **შპს „ორი ნაბიჯი"** (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/კ 204571668, მისამართი: ნავთლუღის ქ. 39/41, თბილისი, საქართველო), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ავთანდილ წერეთლის სახით (შემდგომში "**ორი ნაბიჯი**")

და მეორე მხრივ, თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის - ქ-ნი ნონა გელიტაშვილის სახით, აცნობიერებენ რა ქვეყნის განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას და მიზნებს, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები, და გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს „უნივერსიტეტში" „ორი ნაბიჯის" მიერ მიწოდებული, დასაქმებასთან დაკავშირებული სარეკლამო ბუკლეტების, ვაკანსიების (შემდგომში „ინფორმაცია") განთავსება/გავრცელებასა და „ორი ნაბიჯის" მიერ დაინტერესებული „უნივერსიტეტის" სტუდენტების დასაქმებას გამოცხადებული კონკურს(ებ)ის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 ,,უნივერსიტეტი":

2.1.1 გამოყოფს 1 წლის ვადით ფართს, „ორ ნაბიჯთან" შეთანხმებული დროის კონკრეტული (წინასწარ შერჩეული) მონაკვეთით, სადაც „ორ ნაბიჯს" შეეძლება დაგეგმოს და ჩაატაროს ტრენინგები, განათავსოს ვაკანსიები, სარეკლამო ბუკლეტები და ასევე ინფორმაცია საქმიანობის შესახებ.

2.1.2 უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის „ორი ნაბიჯის" შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ელ-ფოსტის და თავისი საიტის (www.thu.edu.ge) მეშვეობით „ორი ნაბიჯის" მიერ „უნივერსიტეტისათვის" შესაბამისი ვაკანსიების წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

2.2 ,,ორი ნაბიჯი“:

2.2.1 „უნივერსიტეტის“ სტუდენტების მიერ შესარჩევი კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ სტაჟირებას „ორ ნაბიჯში“.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ. თუ თანამშრომლობის პროცესში ასეთი სახის ურთიერთვალდებულებები წარმოიშობა, ასეთ შემთხვევაში უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება.

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და სხვა პირობები

3.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;

3.2 მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

3.3 მემორანდუმი შეიძლება გაუქმდეს რომელიმე მხარის მხრიდან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდებიდან 1 თვის ვადაში, მემორანდუმის გაუქმების დროისთვის არსებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

3.4 ცვლილებები მემორანდუმში საჭიროებს მხარეთა თანხმობას და სრულდება წერილობითი ფორმით.

4. მხარეთა რეკვიზიტები

თბილისის „უნივერსიტეტი“ ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	შპს „ორი ნაბიჯი“
შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი *მისამართი: 0144, თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31* *საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045*	შპს „ორი ნაბიჯი“ *მისამართი: 0113, ისანი, ნავთლუღის ქ. 39-41* *საიდენტიფიკაციო კოდი: 204571668*
..... ნ.გელიტაშვილი, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი	..... ავთანდილ წერეთელი გენერალური დირექტორი